

## ძირითადი საშუალების ცვეთა


ძირითად საშუალებაზე ცვეთის დარიცხვისათვის აუცილებელია შევსებული იყოს ძირითადი საშუალების ბარათი. ძირითადი საშუალების ბარათში, ველში „ცვეთის დარიცხვის მშობელი ანგარიში“ მითითებული უნდა იყოს ცვეთის ანგარიში.


ბარათში „ცვეთა“ შევსებული უნდა იყოს ცვეთის დარიცხვისათვის საჭირო ყველა ველი, ველები აქტიურდება იმისდა მიხედვით თუ ცვეთის დარიცხვის რომელ მეთოდს აირჩევთ.

ველში „ცვეთის დარიცხვის მეთოდი“ ჩამოშლად სიიდან აირჩიეთ ცვეთის დარიცხვის მეთოდი „მაგ: „წრფივი“ და შეავსეთ დანარჩენი ველები:“ A” , ”R” , ”J” , ”C” , ”D” რაც შეეხება ცვეთის დასარიცხ თანხას - ”E” და ჯამური ცვეთის თანხას - ”G” სისტემა ავტომატურად დაითვლის ველების გვერდით მინერილი ფორმულების მიხედვით.

დააჭირეთ ღილაკს „შევიწახოთ“ .

ცვეტა დაერიცხება იმ ძირითად საშუალებას ,რომელსაც მონიშნული არ აქვს ველები: "მცირეფასიანი", "ჩამოწერილია", "დახურულია დამლის შედეგად" და "დახურულია გაერთიანების შედეგად",ასევე ძირითად საშუალებას, რომელსაც ველში "ცვეტის დარიცხვის მეთოდი" არ აქვს მითითებული "არცერთი", ველებში "ცვეტის დასარიცხი თანხა", "ნარჩენი ღირებულების თანხა" მეტი უნდა იყოს 0 , ველებში "მიღების თარიღი" ან/და "ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი" ნაკლებია ცვეტის დარიცხვის თარიღზე და ველი "დახურვის თარიღი" არ უნდა იყოს შევსებული.


თუ გსურთ რომ რამდენიმე ძირითად საშუალებას ერთდროულად დაარიცხოთ ცვეტა ,მაშინ მონიშნეთ ასეთი ძირითადი საშუალებები და დააჭირეთ ღილაკს  იხილავთ ეკრანს:



იმ შემთხვევაში თუ ცვეტის დარიცხვა გსურთ მხოლოდ მონიშნულ ჩანაწერებზე მონიშნეთ მოსანიშნი „მონიშნულ ძირითად საშუალებებზე“ .თუ გსურთ ცვეტა დაარიცხოთ სიაში არსებულ ყველა ძირითად საშუალებას, მაშინ მონიშნეთ მოსანიშნი „ყველა (ეკრანზე არსებულ) ძირითად საშუალებებზე“ .


ველში „ცვეტის დარიცხვის თარიღი“ მიუთითეთ ოპერაციის თარიღი.

ველში „დოკუმენტის ნომერი“ ოპერაციის დოკუმენტის ნომერი .

ველში „ხარჯის ანგარიში “ ავტომატურად მითითებულია 7455. შეგიძლიათ ეს ანგარიში შეცვალოთ ,ნაშალოთ ეს ანგარიში და ხელით აკრიფოთ თქვენთვის სასურველი ანგარიში, რომელიც არსებობს ანგარიშთა გეგმაში ან  ღილაკით გახვიდეთ ანგარიშთა გეგმის ეკრანზე და აქედან აირჩიოთ.


ველში „კომენტარი“ მიუთითეთ ოპერაციის კომენტარი.





დააჭირეთ ღილაკს „OK“ შესრულდება ძირითადი საშუალების ცვეტის დარიცხვის ოპერაცია ,გამოვა სტატისტიკის ფანჯარა, სადაც მოცემულია თუ რამდენ ძირითად საშუალებებზე უნდა დარიცხულიყო ცვეტა, რამდენზე დაერიცხა და რამდენი გამოტოვა.

გააკორექტირეთ ძირითადი საშუალების ბარათი.დადექით ძირითად საშუალებებზე და დააჭირეთ ღილაკს  . დადექით ბარათზე „ცვეტა“


ცვეთის დარიცხვის მეთოდი	წრფივი		
საბალანსო ღირებულება	1500	( A )	
ცვეთა შეტენის დოკუმენტით	0		
სალოკვიდაციო ღირებულება	150	( B )	
მომსახურების ვადა	10	( J )	
პროდუქციის რაოდენობა მომსახურების ვადაში	0	( K )	
პროდუქციის რაოდენობა დასარიცხ პერიოდში	0	( L )	
მომსახურების დარჩენილი თვეების რაოდენობა	0	( M )	
ცვეთის წლიური კოეფიციენტი	0	( B )	
დარიცხვის თვეების რაოდენობა	12	( C )	
ნარჩენი ღირებულება	1365	( D )	
ცვეთის დასარიცხი თანხა	135	( E )	$D = E * D : ((A - B) / (J * 12)) * C$
ჯამური ცვეთა	135	( G )	A - D
საბალანსო ღირებულების გადაფასების თანხა	0	( F )	
ჯამური ცვეთის გადაფასების თანხა	0	( S )	$G * (F * 100 / A) / 100$

სისტემამ მომდევნო 12 თვის ცვეთის დასარიცხი თანხა ავტომატურად გაამზადა „ასევე შეავსო ველი „ჯამური ცვეთა“.


იმისათვის რომ ნახოთ თქვენს მიერ შესრულებული ცვეთის დარიცხვის ოპერაციის შესაბამისი საბუღალტრო გატარება, შეგიძლიათ შეხვიდეთ მენიუში **ბუღალტერია/გატარებები** და მოძებნოთ ცვეთის დარიცხვის ოპერაცია. ასევე საბუღალტრო ოპერაციის ნახვა შეგიძლიათ ძირითადი საშუალების ეკრანიდან. დადებით ძირითად საშუალებაზე, რომელსაც დაარიცხეთ ცვეთა, დააჭირეთ ღილაკის  გვერდით მდებარე შავ ისარს ჩამოიშლება ჩამონათვალი:


-  ძირითადი საშუალების ბარათი
-  ძირითადი საშუალების დეტალური ბარათი
-  გატარებები
-  ბრუნვები

აირჩიეთ ჩამონათვალიდან „გატარებები“

გატარებები								
პერიოდი [ 01.01.2021 - 28.09.2021 ]								
	გად	დო დას	დოკუმენტი	ოპერაციის ტიპი	ოპერაციის თარიღი	ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებეტი თანხა
▶ 1				 მ...	27.09.2021 21:29:29	2250 1	0001 ძირითადი საშუ...	
1								

თუ გსურთ თქვენს მიერ დარიცხული ცვეთის ოპერაციის გაუქმება, გატარებების ეკრანიდან შეგიძლიათ ნაშალოთ ცვეთის დარიცხვის გატარება. გაითვალისწინეთ, რომ ცვეთის დარიცხვის გატარების ნაშლის შემდეგ ძირითადი საშუალებების ბარათები რომ დაუბრუნდეს ცვეთის დარიცხვამდე მდგომარეობას, აუცილებელია გაუშვათ ოპერაცია „ძირითადი საშუალებების ინფორმაციის მთლიანობის შემოწმება“.

ძირითადი საშუალებების ეკრანზე დააჭირეთ ღილაკს . შეგიძლიათ ეს ოპერაცია გაუშვათ მონიშნულ ძირითად საშუალებებზე ან ყველაზე. მონიშნეთ შესაბამისი მოსანიშნი და დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“. იხილავთ ეკრანს:



იმისათვის რომ ბუღალტრული ინფორმაციის მიხედვით გასწორდეს მონიშნული ძირითადი საშუალებები, მონიშნეთ მოსანიშნი „გავასწოროთ მენეჯერული ინფორმაცია“ , გამასწორებელი გაასწორებს მხოლოდ იმ ძირითად საშუალებებს რომებსაც მონიშნული ექნებათ ველი „გავასწოროთ“. მონიშნეთ ველი „გავასწოროთ“ და დააჭირეთ ღილაკს „დასასრული“